ცვლილება ნომერი სამი

"ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში

USAID-ის დახმარების შესახებ ხელშეკრულება №AAG-114-G-10-002

2013 წლის -------

ცვლილება ნომერი სამი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით (შემდგომში "გრანტის მიმღები") და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ("USAID") მეშვეობით შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება").

ვინაიდან, გრანტის მიმღებმა და USAID-მა (შემდგომში მხარეები) 2010 წლის 12 აგვისტოს გააფორმეს დახმარების შესახებ ხელშეკრულება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულების დანართ.1-ში ("განვრცობილი აღწერა"); და

ვინაიდან, მხარეებმა გამოთქვეს სურვილი განავრცონ წინამდებარე ხელშეკრულება რათა მოიცვას USAID-ის ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია საქართველოსთვის 2013-2017 წლებში („CDCS") და CDCS-ის მიზანი-2, "ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა" USAID-ი აგრძელებს დახმარებას ხელშეკრულების ფუნქციონალური მიზნებისათვის, და

ვინაიდან, USAID და გრანტის მიმღები გამოთქვამენ სურვილს, რომ შეიტანონ ხელშეკრულებაში ცვლილება იმ მიზნით, რომ:

1) ხელშეკრულების ფარგლებში აისახოს გარემოს კომპონენტი, როგორც ახალი პროგრამის არეალი;

2) გაიზარდოს USAID-ის მთლიანი ვალდებულება 109,560,599 აშშ დოლარიდან 124,633,774 აშშ დოლარამდე რათა უზრუნველყოფილ იქნეს დამატებითი დამხარება CDCS-ის ფარგლებში;
3) გაიზარდოს USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა, რათა ასახულ იქნას ზემოაღნიშნული ცვლილება;
4) შესაბამისად გაიზარდოს საქართველოს მთავრობის კონტრიბუცია;
5) ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 30 სექტემბრამდე;
6) განახლებულ იქნას დანართი 1, "განვრცობილი აღწერა", რათა ასახულ იქნას USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა;
7) განახლებულ იქნას ხელშეკრულების დანართი 1-ის დამატება 1, "USAID-ის ფინანსური გეგმა" რათა ასახულ იქნას აღნიშნული ცვლილებები;
8) განახლებულ იქნას დანართი 1, "განვრცობილი აღწერა", რათა განმარტებულ იქნას CDCS-ის როლი;
9) დაემატოს დანართი 1, დამატება 2 რათა ასახულ იქნას CDCS-ის განვითარების მიზანი 2 და ახალი საილუსტრაციო საქმიანობები CDCS-ის ფარგლებში;

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. პუნქტი 2.1. ფუნქციონალური მიზანი, პროგრამის არეალი, მთლიანად უქმდება და იცვლება შემდეგით;
"პუნქტი 2.1. ფუნქციონალური მიზანი, პროგრამის არეალი. იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ეკონომიკური ზრდის და ჰუმანიტარული დახმარების ("ფუნქციონალური მიზნები") უცხოური დამხარების მიზნები, რაც მკაფიოდ მოცემულია აშშ-ს მთავრობის მიერ აშშ-ს უცხოური დახმარების სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში, მხარეები თანხმდებიან, რომ ერთობლივად იმუშავებენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოიცავს გაუმჯობესებულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას სტრატეგიულ სექტორებში, ზრდის მაკროეკონომიკურ საფუძვლებს, ვაჭრობას და ინვესტიციას, ფინანსურ სექტორს, სოფლის მეურნეობას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ შესაძლებლობას, გარემოს დაცვას, დახმარებას და პრობლემის გადაჭრას (ერთობლივად, "პროგრამის არეალები" და ფუნქციონალურ მიზანთან ერთად, "მიზანი")".
2. ხელშეკრულების 3.1 (ა) პუნქტი, - "გრანტი", წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"(ა) გრანტი. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ამოცანის შესრულების ხელშეწყობის მიზნით, 1961 წლის უცხოური დამხარების

შესახებ აქტის, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და ხელშეკრულების პირობების დაცვით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) გრანტის მიმღებისათვის გამოყოფს თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ასოცდათხი მილიონ ექვსას ოცდაცამეტი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($124,633,774) (შემდგომში, "გრანტი")".

3. ხელშეკრულების 3.1 (ბ) პუნქტის ("USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა") პირველი წინადადება, – წაიშლება მთლიანად და შეიცვლება შემდეგით:

"(ბ) USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა. ამოცანის შესასრულებლად USAID-ის მონაწილეობის მთლიანი შეფასებითი თანხა შეადგენს ასოცდაოთხი მილიონ ექვსას ოცდაცამეტი ათას შვიდას სამოცდათოთხმეტ ამერიკის შეერთებული შტატების ("აშშ") დოლარს ($124,633,774), რომელიც გაიცემა ზრდადი ოდენობებით.

4. ხელშეკრულების პუნქტი 3.2 (ბ) პირველი წინადადება, "გრანტის მიმღების კონტრიბუცია, "24,376,437 აშშ დოლარის ოდენობით" წაიშლება და შეიცვლება "27,858,654 აშშ დოლარის ოდენობით".
5. პუნქტი 4(ა), დასრულების თარიღი, "2014 წლის 31 დეკემბერი" წაიშლება და შეიცვლება "2017 წლის 31 სექტემბრით".
6. დანართი1, პუნქტი VI (A), თანხა "109,560,599" აშშ დოლარი წაიშლება და შეიცვლება თანხით "124,633,774" აშშ დოლარით.

7. დანართი 1, განრიგი 1, მთლიანად იშლება და იცვლება შემდეგით:

"USAID-ის ფინანსური გეგმა: ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულება 2010-2017 ფინანსური წლებისათვის"

	წინა ვალდებულება	ცვლილება საშის ვალდებულება	მთლიანი ვალდებულების თანხა	ოდენობამდე
იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლებით უზრუნველყოფა	34,668,597		34,668,597	34,668,597
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	20,206,435		20,206,435	20,206,435

საინჟინრო სამუშაოები და ზედამხედველობა	4,777,396	385,000	5,162,396	5,162,396
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	20,473,321		20,473,321	20,473,321
ეკონომიკური ზრდის ინიციატივა	13,985,113		13,985,113	13,985,113
ეკონომიკური მართვა	1,968,130	3,307,000	5,275,130	5,275,130
REAP	7,808,937	4,364,000	12,172,937	12,172,937
გარემოსდაცვითი შეფასება REAP	191,063		191,063	191,063
MEAS Associate AWARD	1,300,000	250,000	1,550,000	1,550,000
USDA	500,000	250,000	750,000	750,000
ISET	390,000	0	390,000	390,000
APSG	1,000,000	500,000	1,500,000	1,500,000
მყარი ნარჩენების მართვის პროექტი	1,290,000	820,000	2,110,000	2,110,000
EC LEDS	0	4,522,175	4,522,175	4,522,175
ოჯახური ძალადობა	0	675,000	675,000	675,000
პროგრამის მხარდაჭერა	1,001,607		1,001,607	1,001,607
ჯამი	109,560,599	15,073,175	124,633,774	124,633,774

8. დანართი 1, განვრცობილი აღწერა, პუნქტი V(A), ბოლო აბზაცს დაემატება შემდეგი:

"2013 ფისკალურ წელს USAID-მა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციით მიიღო ახალი "ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია" საქართველოსთვის, რომელიც ფარავს 2013-2017 ფისკალურ წლებს ("CDCS"). "CDCS"-ის განვითარების სტრატეგია 2, "ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა" ხელს უწყობს ხელშეკრულების ფუნქციონალურ მიზნებს და უზრუნველყოფს სტრატეგიულ და პროგრამულ ჩარჩოს USAID-ის საქმიანობებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს ამ ფუნქციონალურ მიზნებს 2013-2017 ფისკალური წლებისათვის. განვრცობითი აღწერა "CDCS"-ის განვითარების სტრატეგია 2-თვის და სხვა ყველა შესაბამისი საქმიანობები,

რომლებიც გათვალისწინებულია ამ სტრატეგიით წარმოდგენილია როგორც დანართი 1-ის დამატება 2".

9. ცვლილება სამის განრიგი 1, სახელწოდებით "დანართი 1, დამატება 2, ქვეყნის განვითარების თანამშრომლობის სტრატეგია 2013-2107, განვრცობითი აღწერა" მოცემულია როგორც ხელშეკრულების დანართი 1-ის "დამატება 2".
10. ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა ტერმინები და პირობები უცვლელია და რჩება ძალაში.

რომლის დასტურადაც, საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მოქმედებენ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით ხელს აწერენ წინამდებარე ცვლილება ნომერ სამს ამ ცვლილების დასაწყისში მითითებულ თარიღში:

ამერიკის შეერთებული შტატები	საქართველო:
---	---
სახელი, გვარი: Stephen M. Haykin	სახელი, გვარი: ნოდარ ხადური
თანამდებობა: Mission Director USAID/Caucasus	თანამდებობა: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ცვლილება ნომერი სამი "ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებულ პირების მხარდაჭერისათვის" საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა შორის 2010 წლის 12 აგვისტოს დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0140/1-13
თარიღი/DATE 20.09.13
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia